



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

აშშ-რუსეთის სტრატეგიული შეზღვითი შეინარჩუნების
ახალი შეთანხმება

გიორგი სურმავა

158

ეპსკონტის კონკი





საქართველოს სტრატეგიულის და საერთაშორისო ურთისებებისათვის კვლევითი ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გიორგი სურმავა

აშშ-რუსეთის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების
ახალი შეთანხმება

158

2021



პუბლიკაცია დაბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების
საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში
გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და
შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და
საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის
გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი,
მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული
მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის
ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2021 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-3392-2

2021 წლის 26 იანვარს, აშშ პრეზიდენტ ჯობიეფ ბაიდენსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის გამართული სატელეფონო საუბრისას, მხარეებმა ერთმანეთს დაუდასტურეს გადაწყვეტილება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეთანხმების (New START, CHB-3), ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, კიდევ 5 წლით გაგრძელების შესახებ, 2021 წლის 5 თებერვალიდან 2026 წლის 5 თებერვალამდე, და შემდეგ ნოტებიც გაცვალეს.

New START-ი იყო ბირთვული იარაღის შესახებ ძალაში დარჩენილი უკანასკნელი შეთანხმება, რადგან აშშ ტრამპის პრეზიდენტობისას გამოვიდა საშუალო და მოკლე სიშორის ბირთვული რაკეტების (INF) შეთანხმებიდან. ტრამპის ადმინისტრაცია ასევე წინააღმდეგი იყო ცვლილებების გარეშე გაგრძელებულიყო New START-ი, რომელსაც ვადა 2021 წლის თებერვალში ეწურებოდა. რაც შეეხება რუსეთს, იგი ნებისმიერი ცვლილების შეტანის წინააღმდეგი იყო.

ბაიდენის ხელისუფლებაში მოსვლიდან უმოკლეს დროში ხელშეკრულება ყოველგვარი ცვლილების გარეშე 5 წლით გაგრძელდა. რა იყო ამ გადაწყვეტილების მიზეზი? რატომ იყო აშშ-ის წინა ადმინისტრაცია წინააღმდეგი და რატომ იზრუნა ახალმა, უმოკლეს ვადებში მიეღწია შეთანხმებისთვის? რას უნდა ველოდეთ შემდგომში? ეს სწორედ ის შეკითხვებია, რომლებზე პასუხისმგებელი გაცემასაც წინამდებარე პუბლიკაციაში შევეცდებით.

New START-ის ისტორია

რამდენადაც საქმე ეხება არსებული ხელშეკრულების ცვლილებების გარეშე გაგრძელებას, უპრიანი იქნება გადავხედოთ თავდაპირველი ხელშეკრულების ხელმოწერის წინაპირობებს, დეტალებსა და შედეგებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შემცირების და შეზღუდვის ღონისძიებების შესახებ ხელშეკრულებას („Treaty between the United States of America and the Russian Federation on Measures for the Further Reduction and Limitation of Strategic Offensive Arms“, New START¹; „Договор между Российской Федерацией и Соединенными Штатами Америки о мерах по дальнейшему сокращению и ограничению стратегических наступательных вооружений“, CHB-3²) ხელი მოეწერა პრაღაში 2010 წლის 8 აპრილს.

ამ ხელშეკრულების განხილვა ჯერ კიდევ 1997 წლიდან დაიწყეს პრეზიდენტებმა კლინტონმა და ელცინმა. თავდაპირველი ვერსიით, დაგეგმილი იყო სტრატეგიული ბირთვული მუხტების ზედა ზღვრის დადგენა 2000-2500 ერთეულის რაოდენობით და უვადო ხელშეკრულების დადება. ეს მცდელობა მაშინ უშედეგოდ დამთავრდა.

2006 წელს პუტინი ხელახალი მოლაპარაკებების ინიციატივით გამოვიდა. უშუალოდ დოკუმენტის შემუშავება დაიწყო 2009 წლის პირველ აპრილს ლონდონში, ობამასა და მედვედევის შეხვედრის შემდეგ. დოკუმენტი რატიფიკაციისათვის ორივე ქვეყნის შესაბამის საკანონმდებლო ორგანოში შევიდა 2010 წლის მაისში. აშშ-ის სენატმა მისი რატიფიკაციი მოახდინა 2010 წლის 22 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ და სენატმა კი – 2011 წლის 25-26 იანვარს.

რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტებმა რატიფიკაციის შესახებ კანონებს ხელი, შესაბამისად, მოაწერეს 2011 წლის 28 იანვარს და 2 თებერვალს. სარატიფიკაციო სიგელები გაიცვალა 5 თებერვალს, რის შემდეგაც ხელშეკრულება ძალაში შევიდა და ამით შეიცვალა მისი წინამორბედი ხელშეკრულებები. კერძოდ:

- 1991 წლის 31 ივლისის „სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების და შეზღუდვის ხელშეკრულება“ (Treaty Between the United States of America and the Union of Socialist Soviet Republics on Further Reduction and Limitation of Strategic Offensive Arms, START¹; Договор о сокращении стратегических наступательных вооружений, СНВ-1⁴);
- 2002 წლის 24 მაისის „სტრატეგიული შეტევითი პოტენციალების შემცირების და შემცირების ხელშეკრულება“ (Treaty on Strategic Offensive Reductions, SORT⁵; Договор о сокращении стратегических наступательных потенциалов, СНП⁶).

რატიფიკაციისას მხარეებმა განაცხადეს საკუთარი ხედვის შესახებ იმ საკითხებზე, რომლებიც არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული ხელშეკრულებაში ან სცდებოდა მის ფარგლებს. აშშ-ის კონგრესის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ეს ხელშეკრულება არ ზღუდავს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების გაშლას, მათ შორის, ევროპაშიც. რუსეთმა კი დაიტოვა უფლება, გამოსულიყო ხელშეკრულებიდან, თუ აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო პროგრამა მიაღწვდა რუსეთისათვის მუქარის ნიშნულს.

ობამას ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ ამ შეთანხმების მიღწევას საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-რუსეთის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, რომელიც ბუშის ადმინისტრაციის დასასრულისთვის ძალზე გაუარესებული იყო.

რუსული მხარის განცხადებით, ხელშეკრულებით დაფიქ-სირებული უნდა ყოფილიყო საპრძოლო მუხტების საგრძნობლად ნაკლები რაოდენობა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ბუში-პუტინის 2002 წლის შეუალედური ხელშეკრულებით⁷. ამასთან, მედვედევი აცხადებდა, რომ რუსეთი არ დათანხმდებოდა ხელმო-ნერას, თუ აშშ უარს არ იტყოდა რაკეტსანინალმდეგო თავდაცვის ელემენტების განლაგების გეგმაზე პოლონეთსა და ჩეხეთში. ამერიკელები, თავის მხრივ, აცხადებდნენ, რომ ეს ორი საკითხი ერთმანეთთან არ იყო დაკავშირებული.

New START-ის ხელშეკრულებით დადგინდა შემდეგი ზღვრული რაოდენობები:

- 700 ერთეული მატარებელი (საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტები, მძიმე ბომბდამშენები);
- 1550 საპრძოლო მუხტი (საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებზე, წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკურ რაკეტებსა და გაშლილად ჩათვლილ მძიმე ბომბდამშენებზე);
- 800 ერთეული გაშლილი და გაუშლელი მატარებელი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების და წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტების გამშვები დანადგარი, გაშლილი და გაუშლელი მძიმე ბომბდამშენი.

ხელშეკრულების მიხედვით, ბალისტიკურ რაკეტად არ განიხილებოდა იმ ობიექტების გადასაჭერად ან იმ ობიექტებთან საპრძოლველად შექმნილი რაკეტის ტიპი, რომლებიც არ იმყოფებიან დედამინის ზედაპირზე.

ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან 10 წლის მანძილზე, თუ ამ ხნის განმავლობაში სხვა ხელშეკრულებით არ იქნებოდა შეცვლილი. ვადის ამონურვის შემდეგ მისი გაგრძელება მხოლოდ 5 წლით იყო შესაძლებელი.

თითოეულ მხარეს შეეძლო ხელშეკრულებიდან გამოსვლა განსაკუთრებულ ვითარებაში, რის შესახებაც შეტყობინებიდან 3 თვის შემდეგ ხელშეკრულება შეწყვეტდა მოქმედებას.

ხელშეკრულებით იკრძალებოდა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების განთავსება საკუთარი ტერიტორიის გარეთ, ასევე, საკონტინენტთაშორისო და წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტების გამშვები დანადგარების გადაკეთება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების გამშვებ დანადგარებად და პირიქით. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების საკითხები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული.

ხელშეკრულების მიზნების განხორციელების ხელშესაწყობად შეიქმნა ორმხრივი საკონსულტაციო კომისია. ვერიფიკაციის შემმუშავებულ მექანიზმს უნდა უზრუნველყოფო სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების პროცესის შეუქცევადობა და გამჭვირვალობა.

ხელშეკრულება საშუალებას აძლევდა მხარეებს ჩატარებინათ შეთანხმებული შემოწმება როგორც კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების, წყალქვეშა ნავების და სტრატეგიული ავიაციის განთავსების ბაზებზე, ისე რაკეტების ჩატვირთვის, რემონტის და დასაწყობების ადგილებზე. გათვალისწინებული იყო წელიწადში 18 შემოწმების ჩატარება (10+8). ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ჩატარდა 328 ინსპექტირება და 21403-ჯერ გაიცვალა შეტყობინებები.

მდ დროისათვის მოქმედი START I ხელშეკრულებით თითოეული მხარისათვის დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა იყო 6000 საბრძოლო მუხტი და 1600 მატარებელი. 2009 წლის დასაწყისისთვის, ღია წყაროების მიხედვით, რუსეთის ფედერაციას ჰქონდა 628 სარაკეტო კომპლექსი, 2805 ბირთვული საბრძოლო ბლოკით. აქედან:

- სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ძალებში – 385 კომპლექსი: საშახტე და მოძრავი PC-12M2 “Тополь-М”⁸ (NATO-ს კლასიფიკით შშ-27 შიცკლე) – 65 ერთეული; სახმელეთო ბაზირების PC-12M “Тополь”⁹ (NATO-ს კლასიფიკით SS-25 Sickle) – 180 ერთ.; მძიმე რაკეტები PC-20Б¹⁰ (NATO-ს კლასიფიკით SS-18 Mod.4) და PC-20В, “Воевода”¹¹ (NATO-ს კლასიფიკით SS-18 Mod.5/Mod.6) – 62 ერთ.; PC-18Б, “Стилет”¹² (NATO-ს კლასიფიკით SS-19 mod.2 Stiletto) – 72 ერთ. 1357 საბრძოლო მუხტით;

- სამხედრო-საზღვაო ძალებში: PCM-50¹³ (NATO-ს კლასიფიკაციით SS-N-18, Stingray) და PCM-54¹⁴ (NATO-ს კლასიფიკაციით SS-N-23 Skiff) – 172 ერთ. ტიპის რაკეტა 612 საბრძოლო მუხტით;
- სამხედრო-საჰაერო ძალებში: 77 რაკეტმატარებელი მძიმე ბომბდამშენი 856 ბირთვულქობინიანი ფრთოსანი რაკეტით X-55 (NATO-ს კლასიფიკაციით AS-15 Kent).

აღსანიშნავია, რომ “Воевода” და “Стилет” სწრაფად „ბერდებოდნენ“ და გამოდიოდნენ საბრძოლო შემადგენლობიდან, ხოლო ახალი “Тополь-М” მცირე რაოდენობით მზადდებოდა. 2009 წლისათვის დაგეგმილი იყო შეიარაღებაში როგორც სამი ასეთი კომპლექსის მიღება, ისე სამი PC-24 «Ярс»¹⁵ რაკეტისა (თითოეულ-ზე, მინიმუმ, 4 საბრძოლო ბლოკით).

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის პირველი ივლისისათვის რუსეთის ფედერაციამ გაავრცელა ზემოთ მოყვანილისგან მცირედით განსხვავებული მონაცემები, სადაც ფიგურირებდა 608 მატარებელი (-20 ერთ.) და 2683 საბრძოლო ქობინი (-122 ერთ.). ეს სხვაობა, შესაძლოა, გამოწვეული იყო როგორც ღია წყაროებში არსებული ინფორმაციის უზუსტობით, ისე საბრძოლო შემადგენლობიდან შეიარაღების შესაძლო გამოყვანით.

2011 წლის ივნისისათვის აშშ-ს შეიარაღებაზე ჰქონდა 882 გაშლილი და 242 გაუშლელი რაკეტმატარებელი. ძირითადად ეს იყო: LGM-30G “Minuteman III” ტიპის საკონტინენტო შორისობალისტიკური რაკეტები, UGM-133A “Trident II” ტიპის წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტები და B-52H, B-2A, B-1B სტრატეგიული ბომბდამშენები.

START I ხელშეკრულების მოქმედების ვადა (კონტროლის მექანიზმის მოქმედების ვადა) ამინურა 2009 წლის 4 დეკემბერს. შესაბამისად, მანამდე უნდა დადებულიყო ახალი ხელშეკრულება, თუმცა მისი მომზადება რამდენიმეჯერ გადაიდო. მოლაპარაკებები მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და არც ერთ მხარეს დეტალები არ გაუმჯობესდია.

New START-ის ძირითადი შედეგები

ახალ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შემდეგ ბირთვული მუხტების რაოდენობა, პირველად ბირთვული იარაღის არსებობის მანძილზე, უფრო დაბლა უნდა

დაწეულიყო, ვიდრე ამას 1972 წლის (SALT I¹⁶) მოლაპარაკება ითვალისწინებდა. სტრატეგიული მატარებლების რაოდენობა მცირდებოდა, 1972 წლითან შედარებით, დაახლოებით 3-ჯერ, START I-ით გათვალისწინებულ ლიმიტებთან შედარებით – დაახლოებით 2-ჯერ. თუმცა, რეალურად, შემცირება შეადგენდა 25-30%-ს. ხელშეკრულებაში თანაფარდობა – გამშვები დანადგარი: მუხტი დაყვანილ იქნა ნიშნულამდე 1:2 (ადრე არსებული 1:3,5-ის ნაცვლად). ეს ართულებდა პირველი განმაირალებელი დარტყმის შესაძლებლობას.

რუსი ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, ხელშეკრულების დადება დადებითი მოვლენა იყო რუსეთისათვის. კერძოდ, ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო პროგრამა კორექტირებული იყო და მისი აქცენტები გადატანილი იყო ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების გადაჭრაზე, გამარტივდა ვერიფიკაციის მექანიზმი, ხელშეკრულება ქმნიდა პირობებს სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნებისათვის ხილულ პერსპექტივაში.

ექსპერტთა მეორე ნაწილი ხელშეკრულებას რუსეთის სრულ „დამარცხებად“ აფასებდა. კერძოდ, სახელდებოდა შემდეგი:

- გაურკვეველი იყო, არსებობდა თუ არა რაიმე შეზღუდვა მობილური დანადგარების გაშლის რაიონის ზომებთან დაკავშირებით;
- საბრძოლო მუხტების რაოდენობის ზედა ზღვარი – 1550 მუხტი – ფიქცია იყო. ვინაიდა, 1 ბომბდამშენი 1 მუხტად ითვლებოდა, რაც, რაოდენობრივი თვალსაზრისით, მართალია, მხოლოდ მცირე, მაგრამ თვისებრივად დიდ უპირატესობას ანიჭებდა აშშ-ს, რადგან ერთზე მეტი მუხტის მატარებელ, ამერიკულ B-2-ს, დიდი ალბათობით, შეუძლია რუსეთის საჰაერო თავდაცვის გარღვევა;
- ინსპექტირების მექანიზმი იმდენად მოქნილი იყო, რომ სტრატეგიული ბირთვული ძალების პარალიზება თუ არა, მისი ფუნქციონირების ძლიერ გართულება მაინც შეეძლო. მართალია, პარიტეტი დაცული იყო, მაგრამ სტრატეგიული ბირთვული ძალების მნიშვნელობა რუსეთის ფედერაციისათვის შეუდარებლად მაღალია, ვიდრე აშშ-სთვის;
- ხელშეკრულება საშუალებას იძლეოდა წყალქვეშა ნავებზე განლაგებული ბალისტიკური რაკეტები ჩანაცვლებულიყო ფრთოსანი რაკეტებით. ამ მხრივაც, ფორმალური პარიტეტის

მიუხედავად, უპირატესობა აშშ-ის მხარეს რჩებოდა. მათ ეს ტექნოლოგია კარგად ჰქონდათ დამუშავებული (ოთხი “OHIO”-ს ტიპის წყალქვეშა ნავი უკვე გადაკეთებული იყო და მათზე 24 ბალისტიკური რაკეტის ნაცვლად განლაგებული იყო 154 ფრთოსანი რაკეტა);

- აშშ-ს რჩებოდა დიდი დაბრუნებითი პოტენციალი;
- სტრატეგიული ბირთვული ძალების შემცირებით სიმძიმის ცენტრი გადადიოდა ჩვეულებრივ შეიარაღებაზე, სადაც აშშ-ს დიდი უპირატესობა ჰქონდა.

ამ უარყოფითი შეფასებების მიუხედავად, ხელშეკრულების დადების მომენტისათვის რუსეთს უკვე ნაკლები მატარებელი ჰქონდა, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. რუსების მხრიდან საკმარისი იყო 200-300 საბრძოლო მუხტის მოხსნა მრავალმუხტიანი ბალისტიკური რაკეტებიდან და ხელშეკრულება შესრულებული იქნებოდა. თუმცა, ამისათვის 7 წელი იყო გათვალისწინებული. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის სტრატეგიული ბირთვული ძალები, თავიანთი რესურსის ამონტურვის გამო თავისთავად „შეასრულებდნენ“ ხელშეკრულებას. თუნდაც ამიტომ ეს ხელშეკრულება რუსეთის „დამარცხებად“ ვერ ჩაითვლებოდა.

ამასთან, პოლიტიკურ ასპექტში, რუსეთმა მოახერხა შეექმნა ილუზია, რომ იგი სტატუსით აშშ-ს უტოლდება. ამგვარად, იმაზე მეტიც კი მიიღო, რაც შეიძლებოდა მიეღო, არ ჰქონდა რა აშშ-ზე ზენოლის არავითარი ბერკეტი. რუსეთს სტრატეგიული ბირთვული ძალები ძალიან სჭირდებოდა. თუმცა მათი დეგრადირება ამ ხელშეკრულების გარეშეც გრძელდებოდა.

ხელშეკრულება, ფაქტობრივად, დიდ გავლენას არ ახდენდა სამხედრო ბალანსზე. აშშ-ს საერთოდ არ სჭირდება სტრატეგიული ბირთვული ძალები და რაც უფრო დაბალ ნიშნულზე დავიდოდა მათი ორმხრივი პოტენციალი, მით უკეთესი იყო მათთვის. იგი უფრო დიდ როლს ანიჭებდა ფრთოსან რაკეტებს და სხვა მაღალი სიზუსტის იარაღს, სადაც მისი უპირატესობა აშვარა იყო მთელ დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით.

New START-ის შესრულება

აშშ-ის და რუსეთის ოფიციალური მონაცემებით¹⁷, 2011 წლისათვის აშშ-ს ჰქონდა ბირთვული მუხტების 882 გაშლილი მატარებელი (საკონტინენტოაშორისო ბალისტიკური რაკეტები, წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტები და მძიმე ბომბდამშენები), 1800 საბრძოლო მუხტი, 1124 გაშლილი და გაუშლელი გამშვები დანადგარი. ხელშეკრულების პირობები აშშ-მ შეასრულა 2017 წლის სექტემბრისთვის, როდესაც მათ დარჩათ 660 მატარებელი, 1393 მუხტი და 800 გამშვები დანადგარი.

2011 წლისათვის რუსეთის ფედერაციას შეიარაღებაში ჰქონდა 521 გაშლილი მატარებელი (საკონტინენტოაშორისო ბალისტიკური რაკეტები: PC-12M, PC-12M2, PC-18Б, PC-20Б, PC-20В და PC-24; წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტები: PCM-50, PCM-54, PCM-56 «Булава-30»¹⁸ და PCM-52¹⁹; მძიმე ბომბდამშენები: Ty-95M და Ty-160; 1537 საბრძოლო მუხტი და 865 გამშვები დანადგარი). რუსეთმა 2018 წლის თებერვლისათვის შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. რის შემდეგაც მას დარჩა 527 გაშლილი მატარებელი, 1444 საბრძოლო მუხტი და 779 გამშვები დანადგარი. 2020 წლის 1-ლი სექტემბრის მონაცემებით, ეს რიცხვები კიდევ უფრო შემცირდა და შეადგინა, შესაბამისად, 510, 1447 და 764 ერთეული. ამ დროისათვის აშშ-ს ჰქონდა, შესაბამისად, 675, 1457 და 800 ერთეული.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის სტრატეგიულ ბომბდამშენებს შეეძლოთ 20 ფრთოსანი რაკეტის (B-52H), 16 ბირთვული საავიაციო ბომბის (B-2A), 24 ბირთვული საავიაციო ბომბის (B-1B) ტარება. ასე რომ, მათ, ფაქტობრივად, უფრო მეტი გაშლილი მატარებელი ჰქონდათ. მათ ასევე გამოიყვანეს ხელშეკრულების ჩარჩოდან ამ ბომბდამშენების ნაწილი, განაცხადეს რა, რომ ისინი გადაკეთდა არაბირთვული ამოცანების შესასრულებლად (რისი შემოწმებაც შეუძლებელი იყო).

ასევე გამოცხადებული იყო, რომ 24-დან 22-მდე შემცირდა წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტების “Trident II”-ის რაოდენობა „OHIO”-ს ტიპის წყალქვეშა ნავებზე, შემცირდა საბრძოლო მუხტების რაოდენობა ამ რაკეტებზე (8-დან ან 14-დან 4-მდე) და “Minuteman III” ტიპის საკონტინენტოაშორისო ბალისტიკურ რაკეტაზე (3-დან 1-მდე). აქედან გამომდინარე, ჩნდებოდა

ე.ნ. „დაბრუნებითი პოტენციალის“ პრობლემა. აშშ-ს შეეძლო ეს ყველაფერი მალევე უკან დაეპრუნებინა. რუსეთს ასეთი პოტენციალი არ გააჩნდა. მისი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები და წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტები აღჭურვილი იყო საბრძოლო მუხტების სრული კომპლექტით, ხოლო სარაკეტო წყალქვეშა კრეისერები – წყალქვეშა ბაზირების ბალისტიკური რაკეტების სრული კომპლექტით.

ხელშეკრულების შესასრულებლად აშშ-ს სჭირდებოდა სამივე მიმართულებით პარამეტრების შემცირება, ხოლო რუსეთს – მხოლოდ გაუშლელი მატარებლების შემცირება (ისიც – უმნიშვნელო რაოდენობით და, როგორც წესი, მოძველებული ნიმუშებისა). ხოლო გაშლილი მატარებლების და საბრძოლო მუხტების რაოდენობა შეეძლო გაეზარდა კიდეც.

რატომ წავიდა აშშ ფაქტობრივად ცალმხრივ შემცირებაზე? ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ზემოთ ნახსენები „დაბრუნებითი პოტენციალი“. ასევე, სავარაუდოდ, მათ ძალიან სჭირდებოდათ ვერ-იფიკაციის მექანიზმის შენარჩუნება. გარდა ამისა, რუსულ საექსპერტო წრეებში გამოითქვა მოსაზრება²⁰, რომ ეს იყო გარკვეული საზღაური რუსეთის მიერ ირანისათვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის C-300-ის მიყიდვაზე უარის თქმის გამო.

დლევანდელი მდგომარეობა

ვინაიდან ხელშეკრულება უცვლელად გაგრძელდა, რუსეთს თავისი სტრატეგიული ბირთვული ძალების გაზრდაც კი შეუძლია. თუმცა, რადგანაც რუსეთი მრავალმუხტიანი, საკონინტაშორისო ბალისტიკური რაკეტებს PC-18 (YP-100H, ექვსი საბრძოლო ნაწილი თითოეულზე) და PC-20 (P-36M, ათი საბრძოლო მუხტი თითოეულზე) PC-24 «შრც» რაკეტებით (3-4 საბრძოლო მუხტი თითოეულზე) ანაცვლებს, გაშლილი საბრძოლო მუხტების რაოდენობა ალბათ შემცირდება კიდეც. აშშ-ს შეუძლია თავისი ძალების შენარჩუნება არსებულ დონეზე, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ „დაბრუნებითი პოტენციალს“. შესაბამისად, ხელშეკრულება პრობლემების გარეშე იქნება შესრულებული.

ბაიდენის გადაწყვეტილებას, ნინასნარი პირობების გარეშე 5 წლით ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე, ყოფილი ადმინისტრაციის კრიტიკა მოჰყვა. კერძოდ, პრეზიდენტ ტრამპის სპე-

ციალურმა წარმომადგენელმა შეიარაღებაზე კონტროლის დარგში მარშალ ბილინგსლიმ ტვიტერზე დაწერა²¹, რომ ბაიდენის ჯგუფს 24 საათი დასჭირდა მოსკოვზე გავლენის ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტების გასანიავებლად – „ჩვენ მივდივართ გაგრძელებაზე და არაფერს ვიღებთ სანაცვლოდ“.

აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება ზღუდავს აშშ-ის ბირთვული არსენალის 92%-ს და რუსეთის ბირთვული არსენალის მხოლოდ 45%-ს. გარდა ამისა, ის საერთოდ არ ვრცელდება ჩინეთზე, რაც მიუღებელია აშშ-სთვის.

ასეთი მიდგომები გასაკვირი არ არის, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ტრამპის ადმინისტრაცია ამ საკითხის მიმართ იმ-თავითვე უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. 2017 წელს დონალდ ტრამპმა განაცხადა,²² რომ ხელშეკრულება ხელსაყრელია მოსკოვისთვის და წამგებიანია აშშ-სთვის. მისი ადმინისტრაციის განცხადებით, აუცილებელი იყო ჩინეთის ჩართვა მომავალ ხელშეკრულებაში ან მისი გაგრძელება უნდა მომხდარიყო დამატებითი პირობების გათვალისწინებით (მასში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული სტრატეგიული შეიარაღების უახლესი სახეობები და ტაქტიკური ბირთვული შეიარაღება. ასევე უნდა შემუშავებულიყო ვერიფიკაციის ახალი მექანიზმები). რუსეთის შეთავაზება იყო ხელშეკრულების უპირობო გაგრძელება. ამ წინააღმდეგობის გამო ტრამპის ადმინისტრაციის დროს შეთანხმება არ შედგა.

სავარაუდოდ, ტრამპის ადმინისტრაცია წამდვილად არ აპირებდა ხელშეკრულების გაგრძელებას და ეს არ იყო მხოლოდ ვაჭრობა. აშშ-ის ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული სამმართველოს (NNSA) 2020 წლის გეგმაში ორჯერ მეტი ახალი ბირთვული შეიარაღების პროექტი იყო გათვალისწინებული, ვიდრე 2019 წელს. ამბიციური იყო უფრო გრძელვადიანი გეგმებიც.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში 1991 წლიდან მკვეთრად შემცირდა ახალი ტიპის ბირთვული მუხტების შექმნის და წარმოების სამუშაოები, იქ მაინც დარჩა დიდი სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალი, რომელსაც შეუძლია ამ ამბიციური გეგმების შესრულება. ეს, პირველ რიგში, არის აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს ლაბორატორიები: los-alamos nacionaluri laboratoria (Los Alamos National Laboratory – LANL) da livermoris lourensis saxelobis nacionaluri laboratoria (Lawrence Livermore National Laboratory – LLNL). მათზე

მოდიოდა ბირთვული შეიარაღების პროექტების დიდი წილი ცივი ომის პერიოდში. თუმცა, ბოლო წლებში ეს ლაბორატორიები თავ-დაცვითი თემაზე იყვნენ დატვირთული, განსხვავებით სანდიას ნაციონალური ლაბორატორიებისაგან (Sandia National Laboratories), რომელიც ძირითადად დაკავებული იყო ბირთვული მუხლების მატარებლებთან ადაპტაციის, თავაკების და საავიაციო ბომბების კორპუსების შემუშავებით.

აშშ-ის ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული სამმართველოს ამერიკული ბირთვული მარაგების მართვის და მომსახურების გეგმაში (SSMP) 2021 წლისათვის, 2019 წლისათვის შედარებით, ორჯერ არის გაზრდილი ახალი ბირთვული თავაკების შექმნის პროგრამების რაოდენობა. იქვე მითითებულია, რომ 2040-იანი წლები-დან საჭირო იქნება არსებული თავაკების თანდათან ჩანაცვლება ახალი ტიპის ანალოგებით. სავარაუდოდ, პირველი ახალი თავაკი იქნება ბირთვული თავაკი საზღვაო ბაზირების ფრთოსანი რაკეტისათვის (SLCM-N). მისი წარმოების დაწყება დაგეგმილია 2029 წლისათვის

აშშ-ის ბირთვული გეგმები და შესაძლებლობები შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი სტიმულატორი რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაინტერესებისა ხელშეკრულების უპირობოდ გაგრძელებით.

საბჭოთა კავშირსა და რუსეთში ბირთვული შეიარაღების ძირითადი შემმუშავებელი იყო საროვის ქ-11 (არზამას-16) და სნე-ჟინსკის ქ-10 (ჩელიაბინსკ-70). 90-იან წლებში, სხვადასხვა მიზეზის გამო, მათაც არ ჰქონდათ დიდი დატვირთვა. 2000-იან წლებში მათ ინტენსიურად დაიწყეს მუშაობა და თანამედროვე ბირთვული მასალები მათ შექმნეს 2000-2010 წლებში. მათი მეშვეობით რუსეთს ჰქონდა გარკვეული მიღწევები ამ სფეროში. თუმცა, აშშ-ის სამეცნიერო, ფინანსური და ტექნიკური რესურსი ბევრად აღემატება რუსეთისას და შეჯიბრის გაგრძელება შეიძლება ცივი ომის ისტორიის გამეორებით დამთავრდეს.

პენტაგონის შეხედულების სავარაუდო ტრანსფორმაცია ბირთვული იარაღის გამოყენების საკითხზე ასევე შეიძლებოდა გამხდარიყო რუსეთის მხრიდან შეთანხმების გაგრძელების კიდევ ერთი მიზეზი. კერძოდ, რუსეთის საექსპერტო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ერთ-ერთ საუწყებო უურნალში აშშ-ის სტრატეგიული სარდლობის (USSTRATCOM) სარდლის, ადმირალ ჩარლზ რი-

ჩარდის გამოქვეყნებულმა სტატიამ²³, სადაც განხილულია ახალი ხედვები სტრატეგიული შეკავების და ბირთვული შეიარაღების შესაძლო გამოყენების თაობაზე. მისი თქმით, ქვეყანა უკვე ათწლეულებია ანარმოებს კონტრტერორისტულ ოპერაციებს და ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ბირთვული შეიარაღების თემის უგულებელყოფა. ადმირალი ალიარებს, რომ ბირთვული კონფლიქტის აღბათობა დაბალია, მაგრამ – არა შეუძლებელი. განსაკუთრებით, ურთიერთობის გამწვავებისას ბირთვული იარაღის მფლობელ მოწინააღმდეგესთან, რომელიც აქტიურად იყენებს არმიას თავისი ინტერესების მხარდასაჭერად მთელ მსოფლიოში.

სანამ პენტაგონი კონცენტრირებული იყო კონტრტერორიზმზე, რუსეთი და ჩინეთი არღვევდნენ ქცევის საყოველთაოდ მიღებულ წესებს, იყენებდნენ ძალას და ძალის გამოყენების მუქარას. ამასთან, ეს ახლა უფრო დიდ გამომწვევად იქცა, ვიდრე ცივი ომის დროს იყო. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ეს ყველაფერი უფრო ადვილი გახდა კიბერ და საინფორმაციო განზომილებაში.

თუ ამ მოქმედებებს არ გაეცემა პასუხი, შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ ამერიკას ეს არ უნდა ან არ შეუძლია. ეს გაამხნევებს მტრებს და აფიქრებინებს მოკავშირეებს, რომ აშშ-ს არ სურს ლიდერობა. ერთ დღეს შეიძლება დავდგეთ ფაქტის წინაშე, რომ მოწინააღმდეგე იქნება ლიდერი და მაშინ ვაშინგტონი აღმოჩნდება არჩევანის წინაშე – ან მიიღოს ახალი რეალობა, ან გამოიყენოს ძალა და აღადგინოს „სტატუს-კვო“, ან დაამყაროს ახალი წესრიგი.

ადმირალის შეფასებით, რუსეთის ბირთვული ძალების მოდერნიზაციის გრძელვადანი პროგრამა შესრულებულია 70%-ით და გრძელდება. გარდა ამისა, რუსეთი ქმნის ახალ, ინოვაციურ სისტემებს. ქვეყანა არ ერიდება მეზობლების დაშინებას და მათ მიმართ ძალის გამოყენებას. პუტინი სიტყვით და საქმით ახსენებს მსოფლიოს, რომ რუსეთი ბირთვული ქვეყანაა და მისი აგრესიული ქმედებების შედეგები შეუქცევადია.

ჩინეთი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბირთვული პოტენციალი არსებითად ჩამორჩება რუსეთისას, ამ მხრივ ასევე იმსახურებს ყურადღებას. ეს ქვეყანა ახლოსაა გლობალური სტრატეგიული სახელმწიფოს სტატუსთან. ამასთან, ჩინეთი, რუსეთის მსგავსად, აჩვენებს, რომ მისთვის მიუღებელია დემოკრატიული ლირებულებები და სურს მსოფლიო ეკონომიური წესრიგის თავის სასარგებლოდ გადაკეთება.

რუსეთს და ჩინეთს საქმარისი ბირთვული პოტენციალი აქვთ, რათა ლოკალური კონფლიქტების მათვის არასასურველი სცენარით წარმართვისას, მაგალითად, დამარცხების ან რეჟიმის შეცვლის საფრთხის შემთხვევაში, სცადონ მისი გამოყენება. შესაბამისად, ამერიკელმა სამხედროებმა უნდა შეცვალონ თავიანთი პრინციპული მიდგომა და პრინციპიდან „ბირთვული იარაღის გამოყენება შეუძლებელია“ გადავიდნენ პრინციპზე – „ბირთვული იარაღის გამოყენება სრულიად რეალურია“. ადმირალის აზრით, შეხედულებები უნდა შეიცვალოს ახალი რეალიების და მსოფლიო ლანდშაფტის შეცვლის დინამიკის შესაბამისად. პენტაგონმა უნდა შეცვალოს მიდგომა, თუმცა ბირთვული შეკავების ძალების მთავარი ფუნქცია უნდა იყოს ველის განთავისუფლება სტრატეგიულ მიმართულებაზე ჩვეულებრივი (არაბირთვული) ძალების პროექცირების მანევრისათვის.

ამრიგად, თუ ამ დრომდე სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების გამოყენებას არ უშევებდნენ, ვინაიდან, პირობითად, „გამარჯვებულ“ მხარესაც მიუღებელი ზიანის მიღება ემუქრებოდა, ახლა უკვე სამხედროებმა დაიწყეს ფიქრი, რომ ეს შესაძლებელია გარკვეულ პირობებში.

რუსულ საექსპერტო სივრცეში გამოითქვა აზრი²⁴, რომ ადმირალის სტატია არ არის შემთხვევითი და ის აგრძელებს ამერიკელი მაღალჩინოსანი სამხედროების პუბლიკაციებს, რომელთა მიზანია ამერიკელებმა და მთელმა მსოფლიომ გაითავისოს იმ საფრთხეების და რისკების მასშტაბი, რომელიც მოაქვს ორი სამყაროს მზარდ დაპირისპირებას – დასავლეთის, აშშ-ის ლიდერობით, და აღმოსავლეთის, რუსეთისა და ჩინეთის სახით.

თავისი ლოგიკა ჰქონდა აშშ-ს. ბაიდენის ადმინისტრაცია, მათ შორის, სტრატეგიული დაგეგმარების მითითებების სახით გამოცემულ დოკუმენტებში²⁵ აცხადებს, რომ ჩინეთიდან მომავალი საფრთხეები უფრო აქტუალურია და ამას სჭირდება ეროვნული სიძლიერის ინსტრუმენტების რესურსების მობილიზაცია. შესაბამისად, New START ხელშეკრულების გაგრძელების გადაწყვეტილება შესაძლებელია ზუსტად ამ რესურსების გამოთავისუფლებას ემსახურებოდეს.

გარდა ამისა, ახალ ადმინისტრაციას კარგად ესმის, რომ პანდემიის, შიდა პრობლემების, მოკავშირებთან ურთიერთობის გამოსწორების პირობებშიც შეიძლება შეიქმნას ამ რესურსების დეფიციტი, რაც ასევე შეიძლება გახდეს დამატებითი არგუმენტი.

რაც შეეხება ამჟამად მოღლაპარაკებებში ჩინეთის ჩართვის საკითხს, რაზედაც აპელირებდა ტრამპის ადმინისტრაცია, ახალი ადმინისტრაციის აზრით, ამ ქვეყანაზე ზემოქმედების რაიმე რეალური ბერკეტი ამჟამად არ არსებობს.

ხელშეკრულების გაგრძელებას ძირითადად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ხელმომწერ ქვეყნებში, ისე ზოგადად. ევროკავშირმა და NATO-მ მოიწონეს ხელშეკრულების გაგრძელება. უოზეფ ბორელის განცხადებით, ეს ნაბიჯი გააძლიერებს საერთაშორისო და ევროპულ უსაფრთხოებას. ხოლო NATO-ს 3 თებერვლის განცხადებაში აღინიშნა, რომ ალიანსი კმაყოფილებით იღებს და სრულად უჭერს მხარს ხელშეკრულების გაგრძელებას 5 წლით და მიიჩნევს, რომ ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტაბილურობას.

ჩინეთის მსოფლიო პრობლემების კვლევის ცენტრის ექსპერტთა შეფასებით, ხელშეკრულების გაგრძელება დადებითად იმოქმედებს გლობალურ სტრატეგიულ სტაბილურობაზე და შექმნის ხელსაყრელ ატმოსფეროს შემდგომი როული ამოცანების გადასაწყვეტად, თუმცა კარდინალურად ვერ შეცვლის ამ ორი ქვეყნის მეტოქეობის მდგომარეობას.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანმა განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულების გაგრძელება რუსეთთან „სერიოზული“ მოღლაპარაკებების მხოლოდ დასაწყისია. უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი მოღლაპარაკებები ბირთვული გამოწვევების მთელ სპექტრზე და საფრთხეებზე ამ ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ.

რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან გამოითქვა მოსაზრებები, რომ ისინი მზად არიან ინიციატივის განსავითარებლად და ამ მიმართულებით ერთობლივი მუშაობისთვის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შესთავაზა²⁶ აშშ-ს ჩართოს ამ ხელშეკრულებაში ჰიპერბერითი შეიარაღება. მისი თქმით, 2010 წელს ხელშეკრულების ხელმოწერიდან შეიქმნა ახალი შეიარაღება, რომელიც ნაწილობრივ ან საერთოდ არ ხვდება გათვალისწინებულ შეზღუდვებში. ადრე გამოცხადებული იყო, რომ რუსეთმა, გამოხატა რა კეთილი ნება, ამ ხელშეკრულების მოქმედების ქვეშ მოაქცია ჰიპერბერითი სარაკეტო კომპლექსი, მართვადი საბრძოლო ბლოკით „ავანგარდი“.²⁷

დასკვნა

რა იყო ხელშეკრულების გაგრძელების ხელშემწყობი ფაქტორები და რას უნდა მოველოდეთ მომავალში?

სავარაუდოდ, მხარეები ითვალისწინებდნენ იმავე მიზანებს, რის გამოც მოხდა თავდაპირველი ხელშეკრულების ხელმოწერა, კერძოდ:

აშშ-ს ძალიან სჭირდებოდა რუსეთის ბირთვული პოტენციალის ვერიფიკაციის რაიმე მქანიზმის შენარჩუნება, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთმა განაცხადა პრინციპულად ახალი სახეობის იარაღის შექმნის შესახებ. გარდა ამისა, აშშ ინარჩუნებს გარკვეულ უპირატესობას „დაბრუნებითი პოტენციალის“ სახით.

ახალი ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისათვის აშშ-ის პრეზიდენტის მითითებების შესაბამისად, ძირითადად ძალისხმევა უნდა გადავიდეს ჩინეთის მიმართულებით. რუსეთთან ამ შეთანხმების გაგრძელებამ შეიძლება გამოათავისუფლოს გარკვეული რესურსები, რომლებიც ამ მხრივ იქნება გამოყენებული.

რუსეთს ამ ვითარებაში ძალიან სჭირდება თავი წარმოაჩინოს გლობალურ ძალად, სტრატეგიულ მოთამაშედ და ამერიკის ტოლ-სწორად, რომელსაც ანგარიშს უწევენ მსოფლიოში. გარდა ამისა, რუსეთმა კარგად იცის საკუთარი შესაძლებლობები და ისიც, რომ ძვირადლირებული შეიარაღების შექმნა და წარმოება ძალიან რთულ ვითარებაში ჩააგდებს სახელმწიფოს, განსაკუთრებით, სანქციების პირობებში.

აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული სტრატეგიული ბირთვული ძალთა ბალანსი ამ ხელშეკრულების გაგრძელებით რეალურად არ შეიცვლება.

და კიდევ, ხელშეკრულება აიძულებს მხარეებს არა მხოლოდ მისი პირობების შესრულებას, არამედ უფრო შორეულ გეგმებზე ფიქრ-საც. 2026 წელს ის საბოლოოდ შეწყვეტს მოქმედებას და უკვე ახლა, მისი მოქმედების პერიოდში, საჭიროა შეკავების ახალ მექანიზმებზე ფიქრი.

განსხვავებით ობამას ადმინისტრაციის განცხადებული მიზნისა, რომ შეთანხმების მიღწევა წარმოადგენდა მათი ძალისხმევის ქვა-

კუთხედს აშშ-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხში, აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ასე არ ფიქრობს. სავარაუდოდ, ხელშეკ-რულების გაგრძელება ხელს არ შეუშლის ბაიდენს რუსეთთან პრობ-ლემური საკითხების წამოწევაში. ხელშეკრულება მას არაფრით ზღუდავს ამ მხრივ. ამის თვალსაჩინო მაგალითი შეიძლება იყოს ბაიდენის დადებითი პასუხი ტელეკომპანია ABC-ის უურნალისტის შეკითხვაზე – მკვლელია თუ არა პუტინი²⁸, რაც თავისი არსით უპრეცედენტო მოვლენაა აშშ-რუსეთის ურთიერთობებში და ბაიდ-ენის ადმინისტრაციის მიდგომას კარგად წარმოაჩენს.

გამოყენებული წყაროები:

1. <https://www.state.gov/new-start/>
2. http://pravo.gov.ru/proxy/ips/?doc_itself=&backlink=1&&nd=201066893&&page=1&rdk=0#10
3. <https://www.nti.org/learn/treaties-and-regimes/treaties-between-united-states-america-and-union-soviet-socialist-republics-strategic-offensive-reductions-start-i-start-ii/>
4. <http://www.armscontrol.ru/start/rus/docs/start-11a.htm>
5. <https://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2002/05/20020524-3.html>
6. http://www.businesspravo.ru/Docum/DocumShow_DocumID_29832.html
7. SORT-ით გათვალისწინებული იყო შეზღუდვა - 2200 გაშლილი საპრძოლო მუხ-ტი 2012 წლისათვის.
8. NATO-ს კლასიფიკაციით – SS-27 Sickle B, რუსული კლასიფიკაციით – 15П065 (საშახტე) და 15П165 (მოძრავი) სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო კომ-პლექსები, შესაბამისად, 15Ж65 და 15Ж55 საკონტინენტო შორისო ბალისტი-კური რაკეტებით.
9. NATO-ს კლასიფიკაციით – SS-27 Sickle B, რუსული კლასიფიკაციით – 15П158 მოძრავი, სახმელეთო სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო 15Ж58 საკონ-ტინენტო შორისო ბალისტიკური რაკეტებით.
10. Р-36M УТХ, NATO-ს კლასიფიკაციით – SS-18 Mod.4, რუსული კლასიფიკაციით – 15П018 საბჭოთა სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი, 15A18 საკონტი-ნენტო შორისო ბალისტიკური რაკეტებით.
11. Р-36M2 , NATO-ს კლასიფიკაციით – SS-18 Mod.5/ Mod.6, რუსული კლასიფი-კაციით – 15П18М საბჭოთა სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი, 15A18M საკონტინენტო შორისო ბალისტიკური რაკეტებით.

12. УР-100НУТХ “Стilet” (NATO-s კლასიფიკაციით SS-19 mod.2 Stiletto) რუსული კლასიფიკაციით 15A35 საბჭოთა სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსი.
13. Р-29Р, NATO-ს კლასიფიკაციით SS-N-18, Stingray, რუსული კლასიფიკაციით 3M40.
14. Р-29РМ , NATO-s კლასიფიკაციით SS-N-23 Skiff, რუსული კლასიფიკაციით 3M37.
15. NATO-ს კლასიფიკაციით – SS-29 / SS-27 mod.2 SICKLE-B, მობილური ვარიანტი რუსული კლასიფიკაციით 15Ж55М საკონტინენტოაშორისო ბალისტიკური რაკეტებით. NATO-ს კლასიფიკაციით – SS-29 / SS-27 mod.3 SICKLE-C, საშახტე ვარიანტი რუსული კლასიფიკაციით – 15Ж65М საკონტინენტოაშორისო ბალისტიკური რაკეტებით.
16. <https://fas.org/nuke/control/salt1/intro.htm#:~:text=SALT%20I%2C%20the%20first%20series,central%20and%20most%20important%20armaments>.
17. <https://tass.ru/info/10553525>
18. **Р-30 «Булава-30»** , NATO-ს კლასიფიკაციით – SS-N-32
19. **Р-39** , NATO-ს კლასიფიკაციით – SS-N-20 Sturgeon
20. https://nvo.ng.ru/realty/2021-02-11/3_1128_balance.html
21. <https://www.interfax.ru/world/732553>
22. <https://tass.ru/info/10553525>
23. <https://www.usni.org/magazines/proceedings/2021/february/forging-21st-century-strategic-deterrence>
24. https://nvo.ng.ru/gpolit/2021-02-11/8_1128_conflict.html
25. <https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2021/03/NSC-1v2.pdf>
26. <https://lenta.ru/news/2021/02/19/giperzvuk/>
27. <https://lenta.ru/news/2020/12/25/avangard/>
28. <https://abcnews.go.com/Politics/biden-talks-cuomo-putin-migrants-vaccine-abc-news/story?id=76490303>